საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N124 2004 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ

საქართველოში გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ქვეყანაში ევროპული ნორმების დანერგვის პროცესში აუცილებელია ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვისაგან ატმოსფეროს დაცვისა და საწვავის ხარისხის საკითხების რეგულირება. *(30.12.2009 N 259)*

ბენზინის ხარისხის ეკოლოგიური მახასიათებლები (ტყვიის, ბენზოლის, არომატული ნახშირწყალბადებისა და გოგირდის შემცველობა) არ შეესაბამება ევროპულ ნორმებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სოციალური პრობ-ლემები. აღნიშნულ სფეროში ტექნიკური საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და ბენზინის ხარისხის ევროპულ გარემოსდაცვით ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამო-სილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ჟ" ქვეპუნქტის საფუძველზე: *(30.12.2009 N 259)*

1. დადგინდეს კვლევითი მეთოდით განსაზღვრული ოქტანური რიცხვის მიხედვით ბენზინის შემდეგი მარკები: *(14.12.2005 N 224)*

ა) 2007 წლის 1 იანვრამდე

ნორმალი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 80;

რეგულარი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 91;

პრემიუმი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95;

სუპერი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 98.

ბ) 2007 წლის 1 იანვრიდან

რეგულარი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 91;

პრემიუმი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95;

სუპერი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 98.".

2. დადგინდეს საავტომობილო ბენზინის ეკოლოგიური მახასიათებლები: *(30.12.2009 N 259)*

ა) 2010 წლის 1 იანვრამდე:

ა.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.013 გ/ლ;

ა.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი _ არა უმეტეს 5%;

ა.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 45%;

ა.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 500 მგ/კგ;

ბ) 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე: *(30.12.2010 N 421)*

ბ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.013 გ/ლ;

ბ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი _ არა უმეტეს 5%;

ბ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 45%;

ბ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 500 მგ/კგ;

გ) 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე: *(1/12/2011 N 444 ამოქმედდეს 2011 წლის 31 დეკემბრიდან)*

გ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

გ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

გ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

გ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 250 მგ/კგ;

დ) 2014 წლის 1 იანვრიდან- 2015 წლის 1 იანვრამდე: *(26.12.2014 N 731 ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.)*

დ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

დ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

დ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

დ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 150 მგ/კგ;

ე) 2015 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 1 იანვრამდე: *(26.12.2014 N 731 ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.)*

ე.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

ე.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

ე.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

ე.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 50 მგ/კგ;

ვ) 2017 წლის 1 იანვრიდან: *(26.12.2014 N 731 ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.)*

ვ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

ვ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

ვ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

ვ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 10 მგ/კგ.

3. ბენზინის ხარისხის ანალიზის მეთოდები 2009 წლის 1 იანვრამდე გამოყენებულ იქნეს ამჟამად მოქმედი სტანდარტების მიხედვით, 2009 წლის 1 იანვრიდან _ საერთაშორისო სტანდარტებისა (ისო) და ევროპული ნორმების (ენ) საფუძველზე მიღებული ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. *(17.12.2007 N282)*

პრემიერ-მინისტრი *ზურაბ ჟვანია*